




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები


თებერვალი, 2022

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2022 წლის იანვარში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 18.0 პროცენტი, ხოლო 2021 წლის საშუალო წლიურმა ზრდამ შეადგინა 10.6 პროცენტი
- წლიურმა ინფლაციამ თებერვალში შეადგინა 13.7 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 5.1 პროცენტს
- იანვარში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 47.6 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 38.7 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 32.8 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 447.8 მლნ აშშ დოლარს
- იანვრის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაიზარდა 21.1 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და გაუფასურდა 0.4 პროცენტით წინა თვესთან
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.5 პროცენტზე დატოვა
- საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი BB სტაბილურ დონეზე დატოვა, ხოლო S&P-მა BB ნეგატიურიდან BB სტაბილურამდე გააუმჯობესა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



- წინასწარი შეფასებით, 2022 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 18.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2021 წლის საშუალო მაჩვენებელი გაუტოლდა 10.6 პროცენტს.
- 2022 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, გართობა და დასვენება, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა და სამთომოპოვებითი მრეწველობა.
- კლება დაფიქსირდა მშენებლობის, ასევე ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგებში.


ეკონომიკური ზრდა 2022-2019



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


2021 წლის მესამე კვარტალში რეალური მშპ გაიზარდა 9.1 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2021 III კვარტალი



- წინასწარი შეფასებით, 2021 წლის მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 9.1 პროცენტით, ხოლო 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, 1.6 პროცენტით.
- ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
 - ელექტროენერჯის და აირის მიწოდება: 78.8% წ/წ (1.4 პ.პ.)
 - საბითუმო და საცალო ვაჭრობა: 12.3% წ/წ (1.9 პ.პ.)
 - ტრანსპორტი და დასაწყობება: 29% წ/წ (1.1 პ.პ.)
 - განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები: 49.8% წ/წ (1.3 პ.პ.)
 - გართობა და დასვენება: 48.1% წ/წ (1.5 პ.პ.)
 - ჯანდაცვა: 23.8% წ/წ (1.1 პ.პ.)
 - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები: 20.3% წ/წ (1.3 პ.პ.)
 - დამამუშავებელი მრეწველობა: 7.3% წ/წ (0.6 პ.პ.)


მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2021 III კვარტალი




- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
 - სოფლის მეურნეობა: -2.9% წ/წ (-0.3 პ.პ.)
 - მშენებლობა: -29.7% წ/წ (-2.1 პ.პ.)

თეპერვლის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 13.7 პროცენტი


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 32.8 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, %წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- იანვარში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 47.6 პროცენტით და გაუტოლდა 331.3 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად გაიზარდა 39.1 პროცენტით და გაუტოლდა 231.5 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 38.7 პროცენტით და გაუტოლდა 779.1 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 32.8 პროცენტით და გაუტოლდა 447.8 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა შეადგინა 8.5 პროცენტი (33.8 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა - 16.2 პროცენტი (41.0 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 4.4, 17.7 და 16.7 პროცენტით შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %




ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, იანვარი




- ექსპორტის ტოპ საქონელი:
 - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 66.3 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 20.0 პროცენტი.
 - მსუბუქი ავტომობილები: 36.4 მლნ აშშ დოლარი - 11.0 პროცენტი.
 - ფეროშენადნობები: 31.4 მლნ. აშშ დოლარი - 9.5 პროცენტი.

იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, იანვარი



- იმპორტის ტოპ საქონელი:
 - მსუბუქი ავტომობილები: 80.2 მლნ აშშ დოლარით - 10.3 პროცენტი.
 - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 72.7 მლნ აშშ დოლარით - 9.3 პროცენტი.
 - ნავთობის აირები: 64.0 მლნ. აშშ დოლარი - მთელი იმპორტის 8.2 პროცენტი.


ექსპორტის ტოპ ქვეყნები:

- ევროკავშირი: 84.9 მლნ. აშშ დოლარი - 25.6 პროცენტი.
- აზერბაიჯანი: 46.8 მლნ. აშშ დოლარი, 14.1 პროცენტი.
- რუსეთი: 42.7 მლნ. აშშ დოლარი, 12.9 პროცენტი.

იმპორტის ტოპ ქვეყნები:

- ევროკავშირი: 175.0 მლნ. აშშ დოლარი - 22.5 პროცენტი.
- თურქეთი: 141.1 მლნ. აშშ დოლარი - 18.1 პროცენტი.
- რუსეთი: 85.9 მლნ. აშშ დოლარი - 11.0 პროცენტი.


ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, 2019 = 100



ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, იანვარი 2022

ქვეყანა	ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)
რუსეთი	18.7
თურქეთი	12.8
ევროკავშირი + დიდი ბრიტანეთი	13.6
ისრაელი	9.1
უკრაინა	14.2
საუდის არაბეთი	5.1
სხვა	40.6

ტურიზმის აღდგენა ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის შესაბამისი თვე = 100, %




- 2022 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1001 პროცენტით და 114 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაღალი ზრდა განპირობებულია 2021 წლის იანვრის დაბალი მაჩვენებლით (10.4 მლნ აშშ დოლარი).
- რეგიონსა და ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების მიუხედავად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი კვლავ ნაკლებია 2019 წლის მნიშვნელობაზე. კერძოდ, 2019 წლის იანვართან შედარებით, 2022 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი შემცირებულია 31 პროცენტით.
- სეზონურად მოსწორებული ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის თვიური ზრდა იანვარში გაუტოლდა 16.1 პროცენტს.

წყარო: სეზ

რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების შედეგად იზრდება ფულადი გზავნილები

წმინდა ფულადი გზავნილები, 2022-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, იანვარი 2022

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, კპ
იტალია	32.8	21.4%	4.4
რუსეთი	16.5	-8.2%	-1.1
აშშ	19.8	11.1%	1.5
საბერძნეთი	15.6	-12.2%	-1.6
ისრაელი	14.5	12.1%	1.2
გერმანია	8.3	46.4%	2.0
სხვა	46.3	18.8%	5.5

2022 წლის იანვარში, წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 145.5 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9.8 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 45.2 პროცენტით.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - იტალია: 21.4 პროცენტი (4.4 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - აშშ: 19.8 პროცენტი (1.5 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - გერმანია: 46.4 პროცენტი (2.0 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - ისრაელი: 12.1 პროცენტი (1.2 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - უკრაინა: 29.6 პროცენტი (-1.1 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - რუსეთი: -8.2 პროცენტი (-1.1 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - საბერძნეთი -12.2 პროცენტი (-1.6 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)


წყარო: სებ

იანვარში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად გაუფასურდა 0.4 პროცენტით


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	28 თებერვალი, 2022	28 თებ 2022 - 1 იან 2022	28 თებ 2022 - 1 იან 2021
ევრო	3.5255	▼ -0.7%	▲ 14.1%
აშშ დოლარი	3.1540	▼ -2.1%	▲ 3.9%
თურქული ლირა	0.2238	▲ 3.3%	▲ 96.6%
რუსული რუბლი	0.0374	▲ 10.2%	▲ 17.4%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	132.97	▲ 1.4%	▲ 20.2%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (იანვარი, 2022)	125.91	▼ -0.4%	▲ 20.0%

თებერვალში საბადასახლო შემოსავლებმა 7.6 პროცენტით გადააჭარბა პროგნოზს



ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, თებერვალი 2022



ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ




- 2022 წლის თებერვალში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტორიზმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,214.9 მლნ ლარი, რაც 7.6 პროცენტით მეტია დაგეგმილ მაჩვენებელზე - 1,129.0 მლნ ლარს.
- 2022 წლის იანვარში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 25.1 პროცენტით, ხოლო ხარჯები 8.7 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 299.3 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა 111.7 მლნ ლარით.
- 2022 წლის თებერვალში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დღგ-დან მიღებულმა შემოსავალმა 19.0 პროცენტის კონტრიბუციით მთლიან ზრდაში.


წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ განიცადა მცირე ცვლილება


პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით




- 2022 წლის თებერვალში ჩატარდა 4 აუქციონი ჯამური გამოშვებით 196 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.794 პროცენტი შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 30 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები (6 და 12 თვიანი 15-15 მლნ ლარის მოცულობის).
- 2022 წლის 28 თებერვლისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 27.82 პროცენტი ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (იანვარი 1.77) შედარებით გაიზარდა და 2.11 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ლარიზაციის მაჩვენებლები განაგრძობს ზრდას


სესხების ლარიზაცია

2/1/2022




დეპოზიტების ლარიზაცია


01.02.2022



01.02.2022




2/1/2022



- 2022 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 49.5 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 64.5 პროცენტი.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 33.2 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 40.8 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 68.0 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 26.7 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 43.5 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 44.7 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 32.2 პროცენტს შეადგენს.


სესხების წლიური ზრდა

2/1/2022




სესხების წლიური ზრდა

2/1/2022



უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, %წ/წ

1/31/2022






- 2022 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 14.8 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 13.0 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 17.5 პროცენტს შეადგენს.
- 2022 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 24.5 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 7.5 პროცენტს გაუტოლდა.
- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 14.0 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 25.1, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 7.8 პროცენტით გაიზარდა.

ერთვნი ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ზრდა აჭარბებს უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდას

დეპოზიტების წლიური ზრდა

დეპოზიტების წლიური ზრდა


დეპოზიტების წლიური ზრდა




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2022 წლის 1 თებერვლის 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.9 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 13.4 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 7.7 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 10.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიურ ზრდაში მნიშვნელოვანი კლება შეინიშნა და მისი მნიშვნელობა -9.7 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2022 წლის თებერვლის დასაწყისში შეადგინა 21.8 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა -0.6 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 17.7 პროცენტი.

წყარო: სეზ

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი




- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის 2 თებერვალს რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად 10.5 პროცენტზე დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შეადგენს 10.5 პროცენტს.
- სებ-ის თანახმად, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის მკვეთრად გაზრდილ ფასებზე. ასევე მნიშვნელოვნად მოიმატა საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯებმა, რაც იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე ახდენს გავლენას.
- ეროვნული ბანკის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, გაზაფხულიდან მოსალოდნელია ინფლაციის ეტაპობრივი კლება, ხოლო მიმდინარე წლის ბოლოსთვის კი მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოება. ბოლო თვეებში უკვე შეინიშნება საბაზო და თვიური ინფლაციის დასტაბილურების ნიშნები. ინფლაციის ეტაპობრივ შემცირებას, ერთჯერადი ფაქტორების მიღევასთან ერთად, დაგეგმილი ფისკალური კონსოლიდაცია და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა შეუწყობს ხელს.
- მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2022 წლის 30 მარტს ჩატარდება.
- 2021 წლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა მოახდინა 332.9 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა.

წყარო: სებ

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე




საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





- 2022 წლის 1 იანვრის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.0 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 1.7 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.7 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 18.1 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 20.0 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.7 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.8 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.1 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.5 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის დეკემბრის ბოლოს 13.7 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 6.8 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 5.7 პროცენტი.

წყარო: სეზ

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2022 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.3 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.6 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2.6 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.6 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.3 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 17.2 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 20.2 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 5.9 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.8 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.1 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.5 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2022 წლის იანვრის ბოლოს 13.8 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 7.0 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 5.7 პროცენტი.

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო